პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 მარტი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 58 (14968)

დამკვრელური შრომის ვანგარდი

ეკრანიზაციები

ვინ როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს

● თბილისი. პირველი სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია) კოლექტივი წარმატებით იბრძვის მიმდინარე წლის გეგმისა და სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განსაღდებლად. მკერავებმა 25 რიცხვისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის თებერვლის თვის დავალება, ორი თვის გეგმის გადამეტებით 207 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს და მომხმარებელს დავალების გადაჭარბებით 1.448 ქალის პალტო და 4.460 ცალი ქალისა და ბავშვის კაბა გაუგზავნეს.

შრომაში დაწინაურდნენ და მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვეს № 2, №4, № 5 სამკერვალო საამქროებმა (უფროსები ა. ზებედაშვილი, გ. მახარაძე და ბ. კაციტაძე). განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ლ. გოზალიშვილი და რ. ტარიელაშვილი ხელმძღვანელობენ.

● ქუთაისი. (საკ. კორ.). „ქუთაისარიტის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა განვლილი ორი თვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება 111,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო რეალიზაციისა — 103 პროცენტით. მაღაროელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ბარიტის ამოღების, გამდიდრებისა და ფლოტაციის გეგმები. ჩვენი ქვეყნის ნავთობის საწარმოებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 647 ტონა კონცენტრატი, ხოლო ქიმიურ ქარხნებს — 80 ტონა გრავიტაციული ბარიტი.

შეჯიბრებაში ყველას უსწრებენ ლეგედის ბარიტის მაღაროებისა და ქუთაისის საფლოტაციო ქარხნის კოლექტივები, რომლებსაც ს. კეთილაძე და რ. ფხაკაძე ხელმძღვანელობენ.

● ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ახალი წლის პირველი დღეებიდან-ვე მაღალი ტემპი აიღო ტყვარჩელის № 6 შახტის (უფროსი შ. უურაშვილი) კოლექტივმა. გასული ორი თვის დავალება შესრულებულია 109,8 პროცენტით. გეგმის გადამეტებით ამოღებულია 2.500 ტონა ქვანახშირი. გასულ წელთან შედარებით სამი პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ორმაგი გადაჭარბებით შესრულდა მოგების დავალებაც.

შახტის მესამე უბანში ამას წინათ მუშაობას შეუდგა ახალი კომბაინი „კიროვეცი“, რომელმაც უბანზე ერთიორად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ უბნები, რომლებსაც რ. ექსეულიძე, დ. სვანიძე და კ. ხურცილაძე ხელმძღვანელობენ.

მოწინავე შახტის კოლექტივის გადაწყვეტილებაა პირველი კვარტალის გეგმა 23 მარტისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით ამოიღოს 3.400 ტონა ქვანახშირი.

● ფულეკიძე. (საკ. კორ.). პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დაწინაურდა სინთეზური მასალების ქარხნის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მარტო იანვარში ჩვენი ქვეყნის ქიმიურ ქარხნებს გაეგზავნა 501 ათასი ცალი მინერალური სასუქებისა და 52 ათასი ცალი შაბიამანის შესაფუთავი პოლეთილენის პარკი, გაცვლებით მეტով ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. აქ ასევე გადაჭარბებით შეასრულეს ხარ-პოსტნეულის ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტარისა და პოლეთილენის მხატვრულად გაფორმებული მაგიდის საფარების გამოშვების დავალებანი.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანადგებს ფირების დამამზადებელი საამქრო (უფროსი კ. უგულავა), რომელმაც თებერვალში 3 ტონაზე მეტი ზეგიგმითი პოლეთილენის ფირი გამოუშვა.



მარიჯან ქონსტანტინეს ასული ქავთარაძე — გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის მეხოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა — საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე არჩეულია კომუნისტთა საკავშირო ფორუმის დელეგატად. უკვე რამდენიმე წელია ეს ქალიშვილი მუშაობს საბჭოთა მეურნეობაში. იგი საუკეთესო მეხოსტნედ ითვლება. გასულ წელს მარიჯან ქავთარაძემ ერთ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ტონისა 23 ტონა პამიდორი მიიღო. წელს კი ვალდებულება იკისრა მოსავალი 40 ტონამდე გაადიდოს.

მეხოსტნე მარიჯან ქავთარაძე სკკპ XXIV ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება.

ხუთათზე: საბჭოთა მეურნეობის მუშები მ. ქავთარაძეს ულოცავენ სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად არჩევას.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სკოლის ფართო ჰორიზონტი

ცხოვრებაში ერთ-ერთ ასეთ ეტაპად ითვლება ეროვნული ენა, ეროვნული ენა, ეროვნული ენა.

თქვენთვის, დიასახლისებო!

ქალის—დედის საკეთილდღეოდ

ჩვენი ინტერვიუ

ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას პარტია განიხილავს როგორც უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო ამოცანას. დირექტივების პროექტში კერძოდ ნათქვამია: „განვასრულებელოთ ფართო სისტემა ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია მოსახლეობის დროის ეკონომია და საოჯახო მეურნეობაში შრომის შემსუბუქებას“.

ეს სტრიქონები ძალიან ხშირად არის მოყვანილი იმ წერილებში, რომლებსაც მშრომელები უგზავნიან რედაქციას. ამ წერილების ავტორები ძირითადად ქალები, დიასახლისები არიან. მათ აინტერესებთ, კონკრეტულად რა ღონისძიებები განხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში ქალის, დიასახლისის შრომის შესამსუბუქებლად. ამაზე ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილეს ნოდარ ნოდიას.

დირექტივების პროექტში, — თქვა ამხ. ნ. ნოდიამ, — დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ განვითარებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა სახის მომსახურებაზე მშრომელთა სრული დაკმაყოფილება, უნდა გაფართოვდეს მომსახურების საწარმოთა ქსელი. ხუთწლეულში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადიდდება სულ ცოტა ერთი ორად. პარტიის მიერ დასახული ამოცანები ეყრდნობა რეალურ საფუძველს, იმ დიდ მუშაობას, რაც წინა ხუთწლედში იქნა გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მისი სახალხო მეურნეობის მსხვილ მექანიზებულ დარგად გადაქცევისათვის.

ცხადია, მომსახურების სფერო დიდად გაფართოდა უკანასკნელ წლებში. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აშენდა ცხრაასზე მეტი თანამედროვე საწარმო, მათ შორის 98 მრავალდარგიანი კომბინატი, 23 ტანსაცმლის ქიმწმენდის და თეთრეულის რეცხვის საწარმო, ათობით მექანიზებული სახელოსნო და სხვა ობიექტი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩვენი დიასახლისების შრომის შემსუბუქებას ოჯახში. ფაქტია, მომსახურების სფერო კვლავ ფართოვდება. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება მომავალ წლებში იმისათვის, რომ ჩვენს დიასახლისს, ოჯახის დედას ჯეონდეს მეტი თავისუფალი დრო, განიტვირთოს იგი ისეთი შრომისაგან, რომელსაც შეასრულებს მანქანა.

მოვიყვანოთ ერთი ასეთი ციფრი. ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეცხაოები მოსახლეობას უფრეცხავენ ერთი მილიონი მანეთის ღირებულების თეთრეულს. ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის კი ეს ციფრი 7,5 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ფართოდ დაინერგება ბინაზე მომსახურების პრაქტიკა. ეს ნამდვილი კომპლექსური ღონისძიება იქნება. აქ იგულისხმება ბავშვის, ავადმყოფის მოვლა, ბინის დალაგება-დასუფთავება, მოხუცის თვალყურის დევნება და სხვა საოჯახო საქმიანობა, რაც ახლა დიასახლისს აწევს ტვირთად.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება და, ვფიქრობთ, დიდ პოპულარობას მოიპოვებს ჩვენში „სადღესასწაულო მომსახურება“. მომსახურების ამ ფორმის შინაარსი ის არის, რომ დღესასწაულის დღეებში წვეულებების გამართვისას ოჯახს მომსახურება კვალიფიციური მზარეული, სუფრის გამწყობი, მომტანი. დიასახლისის საზრუნავი იქნება მხოლოდ ის, რომ იგი პროდუქტებს ჩაბარებს მომსახურების მუშაკს, თვითონ კი საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული საერთო ზედამხედველობას გაუწევს კეთილი სამსახურის ადამიანებს.

ვფიქრობთ, ჩვენი დიასახლისებისათვის საინტერესო იქნება „ბავშვთა სამყაროს“ ექსპერიმენტული ობიექტის მშენებლობა ზუგდიდში, რომელიც მომავალ ხუთწლედში განხორციელდება. ეს იქნება ორსართულიანი შენობა კეთილმოწყობილი ეზოთი, ბავშვთა გართობის, დასვენების ყველა საშუალებით. ეს გათვალისწინებული გვაქვს იმისათვის, რომ დედებს საშუალება ჰქონდეთ რამდენიმე დღით დატოვონ აქ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. მათთვის ყველა პირობა იქნება ნორმალური ცხოვრებისა და დასვენებისათვის. ასეთი სახლები აშენდება შემდგომში სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ერთ საკითხს კიდევ მინდა შევეხო. ეს არის ჩვენში უკვე საკმაოდ პოპულარული „სადღესასწაულო დარბაზები“. ასეთი დარბაზები გვაქვს თბილისსა და ქუთაისში. როგორც ცნობილია, ამ დარბაზებში ეწყობა ბანკეტები, ქორწილები, წვეულებები. უახლოეს წლებში ასეთი დარბაზები გაიხსნება რუსთავში, მახარაძეში, თელავში, სოხუმში, ფოთში, ქობულეთში, ხოლო ბათუმში მოეწყობა უფრო სრულყოფილი „სადღესასწაულო დარბაზები“, სადაც ქორწილთან და სხვა წვეულებასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა დეტალი იქნება გათვალისწინებული.

ეს და სხვა მრავალი ღონისძიება, რომლებიც ახალი ხუთწლედის მანძილზე დაინერგება ჩვენში, მიმართული იქნება იქითკენ, რომ **უფრო მეტად შეავსებუსუფთოთ ქალის, დიასახლისის, დედის შრომა ოჯახში, უფრო მეტი სიკეთე და მზრუნველობა გამოვიჩინოთ მისდამი.**

ჩვენი მუშაობის მთავარი შემმოწმებელი ხალხი, ჩვენი სახელოვანი დედები, დიასახლისები არიან, რომელთა გემოვნება, მოთხოვნილება გვიკარნახებს უფრო მეტი გავაკეთოთ, უფრო ენერგიულად ვიშრომოთ იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ახალი ხუთწლედის დავალებანი. უფრო მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.

ინტენსიფიკაციის გზით

ქიმიური ბოჭკოს წარმოება მრეწველობის ყველაზე ახალი დარგია საქართველოში. მის განვითარებას დასაწყისი მიეცა გასული ხუთწლედის გარიჟრაჟზე, როცა მწყობრში ჩადგა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა და მომხმარებლებს გაეგზავნა პროდუქციის პირველი პartია. რამდენიმე წლის განმავლობაში ქარხანას თან ახლდა ახალგაზრდა საწარმოსთვის დამახასიათებელი ზრდის სიძნელენი და ვერ ასრულებდა დავალებებს. მაგრამ ზემდგომი ორგანოების სისტემატური ზრუნვითა და დახმარებით სერიოზული დაბრკოლებები გადალახეს და 1969 წლის პირველი კვარტალის შემდეგ ქარხანამ საწარმოო პროგრამის სრული ციკლით შესრულება დაიწყო. 1969 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლების სახელმწიფო გეგმები საერთოდ 112,8 პროცენტით შესრულდა და წინა წლითან შედარებით წარმოების მოცულობა 30 პროცენტით გაიზარდა.

კარგი სტარტი აიღო ქარხანამ მერვე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს. წარმატებით შესრულდა წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო დავალება, მაგრამ მეორე ნახევარში ჩამოვრჩით და წლიური გეგმა ვერ შეგასრულეთ. ეს ძირითადად გამოიწვია კადრების ნაკლოვანებამ. ელექტროენერგიის, ორთქლის, წყლის რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში არსებულმა შეფერხებებმა არაერთხელ დაარღვია წარმოების ტექნოლოგია. ამასთან, მუშაობის შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ძირითადი ნედლეულის — კაპროლაქტამის არარეგულარული მოწოდება და მისი ცუდი ხარისხი.

ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები დარაზმეს იმისათვის, რომ მოეხდინათ წარმოების რეზერვების მობილიზაცია. შედეგიც კარგია. პროდუქციის წარმოების მოცულობა 1970 წელს 1969 წელთან შედარებით 29 პროცენტით გადიდდა. საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის გზით კორდის გრეხვის საამქროში შეგამცირეთ ერთი საწარმოო ოპერაცია. ამ ღონისძიების განხორციელებით გამოთავისუფლდა 30 კვალიფიციური მუშა, რომლებიც წარმოების სხვა მეტად საჭირო უბნებზე გადავიყვანეთ, საქსოვი საამქროს კორდის გადამხვევი უბნის დაბალი სიმძლავრის ნაწილი მოდერნიზებული მანქანებით შეკვეთალეთ. კაპრონის აბრეშუმის წარმოების ნაკადში მოძველებული ტიპის მანქანების ნაცვლად უფრო მძლავრი მანქანები დაიდგა.

დაიწყეთ და მიმდინარე წელს განვახორციელებთ კაპრონის აბრეშუმის ნაკადის დანადგარის მოდერნიზაციას, ამით ამ უბანზე 1,5-2-ჯერ გაიზრდება პროდუქციის გამოშვება და საკმაო რაოდენობით გამოთავისუფლდება მუშახელი. წარმოების ინტენსიფიკაციის ხელს შეიწყობს აგრეთვე 20 ახალი მანქანა, რომლებიც მიმდინარე წელს დაიდგმება ცხელი კაჭიჭისა და საქსოვ საამქროებში.

ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ახალი ხუთწლედის პირველ წელს პროდუქციის წარმოების მოცულობა 1970 წელთან შედარებით 27 პროცენტით გაზრდილი და ქარხანა რენტაბელური გახდეს.

იანვრის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები ქარხნის კოლექტივის ჩანაფიქრის ხორცშესხმაა. შედეგიც ცალკეა. პროდუქციის წარმოების მოცულობა 1970 წელს 1969 წელთან შედარებით 12,6 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება ათეულ ათასობით მანეთით შემცირდა, შრომის ნაყოფიერება, 5,9 პროცენტით გაიზარდა.

მალე საკავშირო ოლიმპიადა კაპრონის ტაპეტის ბოჭკოს წარმოების აგრეგატები. ისინი სამუალეოს მოგვიმენ წლიურად გადავამეშაოთ 600 ტონა ბოჭკოს ნარჩენები და დამატებით მივიღოთ 640 ათასი მანეთის პროდუქცია, ამასთან 400 ათასი მანეთით შეგამციროთ ზარალი.

ამჟამად ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩვენი ფალდებულებაა გეგმის გადამეტებით მივიღეთ სამშობლოს ათასობით მანეთის პროდუქცია, დავზოგოთ 25 ათასი მანეთის ღირებულების ელექტროენერგია, ორთქლი, წყალი, რეციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მივიღოთ 55 ათასი მანეთის ეკონომია.

წინ დიდი ამოცანებია. ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია, რომ საქართველოში ქიმიური ბოჭკოს წარმოება გაეზრდებოდეს 1,6-ჯერ, რაც ფილიალად ჩვენი ქარხნის ბაზაზე უნდა ნოხდეს. ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის უკვე შეგიმუშავეთ აუცილებელი ღონისძიებანი. წარმოების ყველა რეზერვი სრულად უნდა დაკომპლექტდეს მუშახელით, უნდა შემცირდეს კადრების დინადობა და განხორციელდეს წარმოების სპეციალიზაცია.

ახალ ხუთწლედში მაქსიმალურად გამოვიყენებთ სამუშაო დროს, კვლავაც განვაახლებთ საწარმოო ბაზას, ამასთან დადაწყვეტილი გვაქვს ქარხანა დადგეიყენოთ მხოლოდ კორდის ძაფის გამოშვებაზე და საერთოდ ციკლიდან ამოვიღოთ დიდად შრომატევადი აბრეშუმის წარმოება.

ჩვენი ქარხნის ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც ახლა დარეგისტრირდა საპრეტენზიო ინსტიტუტში მუშავდება, მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მიეღწიოთ ხუთწლედის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულ წარმოების დონეს, შეგძლოთ ის, რომ რუსთავის კაპროლაქტამი მთლიანად ადგილზე გადამუშავდეს და-ამით გამოვრიცხოთ შორი გადაზიდვები. ქარხნის რეკონსტრუქციის, წარმოების ინტენსიფიკაციის გზით ყოველწლიურად გავწეოთ 1,2 მილიონი მანეთის ეკონომია.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი ახალი ხუთწლიანი გეგმის განუყოფელი ნაწილია. ხუთწლედის განმავლობაში ქარხნის კოლექტივი შეიღებს 80 ათას კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს, აგებს პოლიკლინიკას, ბავშვთა ბაღებს, სპორტული ბაზებს და სხვა ობიექტებს. ასევე ფართოვდება ზონიერ ორგანიზაციებიც. ფიზიკურად — სრულყოფილ, მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ, მოწინავე მეთოდებისა და რაციონალიზაციის ბაზაზე, ეკონომიკურ-განვითარების ამ გრანდიოზულ პერსპექტივებს ეს მთელი ენერგიით განაგრძობენ. ბრძოლას იმისათვის, რომ ღირსეული შრომითი საჩუქრები მოემზადოს შმობლიური პარტიის XXIV ყრილობას.

ი. გრძელიძე,
რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორი.

ახალ ხუთწლედში საქართველოში უზრუნველვყოთ ქიმიური ბოჭკოების წარმოების გადიდება 1,6-ჯერ.

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან).

რენტაბელობა, ძიება

ეურძნისა და ხილის წარმოების განვითარების ახალი გზები

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი გრანდიოზულ ამოცანებს სახავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ახალ ხუთწლედში. დირექტივების პროექტში საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად **ეურძნის წარმოების გადიდებაა** დასახული. საქართველოში შევენახოთ ეს ძველესი და დიდმნიშვნელოვანი დარგი და მას წამყვანი ადგილი უჭირავს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საქმეში გასული ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სისტემაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. თუ ხუთწლედის წინა, 1965 წელს მთელი რეალიზებული პროდუქციის ღირებულება 25,9 მილიონ მანეთს შეადგენდა, მერვე ხუთწლედის ბოლოს — 1970 წელს რეალიზებულ იქნა 52,2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

პროდუქციის რეალიზაციის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა წმინდა შემოსავალი და მოგება. თუ 1965 წელს მიღებული იყო 7,4 მილიონი მანეთი მოგება, 1970 წელს მოგების თანხამ 16 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში გასულ ხუთწლედში დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები. მაგალითად, ყურძნის წარმოების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 114,4 პროცენტით, ხილისა — 123,7, ბოსტნეულისა—115, ხორცისა — 114,1 პროცენტით, ხოლო რძისა — 100,6 პროცენტით.

ტრესტის სისტემაში შემავალი 53 საბჭოთა მეურნეობიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ყველა სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრა, ხოლო გასულ წელს მოგების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 34 საბჭოთა მეურნეობამ, 16 მეურნეობამ სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრა, მაგრამ მოგების გეგმა ვერ შეასრულა. მხოლოდ სამი მეურნეობა იყო ზარალიანი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, რენტაბელობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურება უკანასკნელ ხუთწლედში 27 პროცენტით გაიზარდა. წინა ხუთწლედთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საშუალო წლიური მოცულობის ზრდის უზრუნველყოფის საქმეში სათანადო წვლილის შესატანად ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს: **ახალ ხუთწლედში ეურძნის წარმოება გაზარდონ 80 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წელს წინა წელს მიღებული 78 ათასი ტონა ყურძნის ნაცვლად მიიღონ 100 ათასი ტონა. ხილის წარმოება ხუთწლედის მანძილზე გაიზარდება 120 პროცენტით, ხოლო წელს — 20 პროცენტით.**

ტრესტის სისტემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა 1970 წლისათვის ყურძნის წარმოება 1966 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა რესპუბლიკაში მთლიანად დამზადებული ყურძნის რაოდენობაში.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურძნის წარმოების გადიდება საკვის უფრო დიდი რეზერვებია ახალ ხუთწლედში. გასული ხუთი წლის განმავლობაში გაშენებულია 5.900 ჰექტარი ახალი ვენახები, რომლებიც უახლოეს წლებში მთლიანად მოსავლიან ფართობს მიემატება. ვენახების გაშენების დროს დიდი ყურადღება ექცეოდა მაღალი ხარისხით გამოქმული, წინა წლებში ყოველად გაუმართლებლად მივიწყებული უნიკალური ჯიშების გაშენებას. ესენია: საფერავი, კაბერნე, კახური მწვანე, ოჯალეში, ჩხაველერი, პინო და სხვ. **ახალ ხუთწლედში ტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 6 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები და კვლავ დიდი ფართობი დაეთმობა აღნიშნულ ჯიშებს.**

ახალი ვენახების გაშენებისათვის ტრესტი უზრუნველყოფილია და შემდგომშიც დაეკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას საკუთარ სანერგეებში გამოყვანილი ნამყენი ნერგით. ნერგის გამოყვანაში თავი ისახელა ახმეტის მევენახეობის სანერგე მეურნეობამ, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თ. შამიაშვილი ხელძღვანელობს. იგი ყოველწლიურად 70-80 პროცენტ ნერგის გამოსავლიანობას აღწევს. ნერგის გამოსავლიანობის 50 პროცენტს გადაჭარბეს ოკამის, კისისხევის, ნაფარეულის და ზოგიერთმა სხვა მეურნეობებმა.

მოსავლიანი ვენახების ფართობი ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის 23.500 ჰექტარს მიაღწევს ნაცვლად ახლანდელი 16.400 ჰექტარისა. ამ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძნის მიღების პირობებში, ყურძნის წარმოება წინა ხუთწლედთან შედარებით 100 პროცენტით გადიდდება. ვენახების მოსავლიანობის გადიდებისათვის მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებასთან ერთად დიდ რეზერვს წარმოადგენს ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაცია.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეხილეობის განვითარების საქმეში. გასული ხუთწლედის განმავლობაში ხილის წარმოება გაიზარდა 124 პროცენტით, ხოლო რაც მთავარია, წარმოებული ხილიდან სტანდარტული ხილის რაოდენობა ერთიორად გაიზარდა. თუ 1966 წელს ტრესტის მეურნეობებში მიღებული 8.487 ტონა ხილიდან მხოლოდ 3.284 ტონა, ანუ 38,5 პროცენტი იყო ხარისხიანი, 1970 წელს მიღებული 18.643 ტონიდან ხარისხიანმა ხილმა 14.630 ტონა, ანუ 78,5 პროცენტი შეადგინა.

დიდი ხანია საქართველოს ხილმა თავისი საუკეთესო ხარისხით მსოფლიო აღიარება ჰპოვა და საკავშირო ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხილის წარმოების გადიდებას, ხოლო ხილის წარმოების გადიდების რეზერვები ტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობაში საკმაოდ არის და ისინი უნდა ავამოქმედოთ.

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ბაღების ფართობი 15.050 ჰექტარს შეადგენს. აქედან სრულმოსავლიანია 3051 ჰექტარი. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში 11 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები მიემატება სრულმოსავლიან ფართობს და ეს იქნება უდიდესი რეზერვი ხილის წარმოების ერთიორად გადიდებისათვის.

უკანასკნელ წლებში მეხილეობაში ინერგება მეტად პროგრესული წესი ხეხილის ბაღების გაშენებისა ბალმატური წესით, რომელსაც ხეხილის ბაღების გაშენების ძველ წესთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. ამ წესით გაშენებული ხეხილის ბაღი ბევრად ადრე შედის მსხმოიარობაში და უხვ მოსავალს იძლევა.

ეს არის მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკოსთა მონაცემების წარმოებაში დანერგვის შედეგი. ამ გზით მომავალში უფრო გაიზრდება ხილის მოსავლიანობა, ახლა მთავარია ავამაღლოთ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს იქნება ახალ ხუთწლედში ახალი წარმატებების მოპოვების საწინდარი.

ვ. მირიანაშვილი,
მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი.

დავამთავროთ ყველა საბჭოთა მეურნეობის გაძლიერება სრულ სამეურნეო ანგარიშზე... გავაძლიერეთ სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა.

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან).

ასე გაანვუმარტავთ მოსწავლეებს

გაკვეთილზე, სკოლაში

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი განიხილა ჩვენი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომამ. პედაგოგებმა ერთსულოვნად მოიწონეს წამოყენებული დებულებები ცხოვრებაში გასატარებლად. მასწავლებლებმა აიღეს ინდივიდუალური ვალდებულებანი — საგნის სწავლება მეტოდოლოგიურად დაუკავშირონ საპროგრამო მასალას. დირექტივების პროექტში მოცემულია ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც ნათლად ასახავენ მომავალ ხუთწლედში სახალხო განათლების დიდ პერსპექტივებს. გაკვეთილებზე დირექტივების პროექტის უკეთ ათვისების მიზნით ვიყენებთ კინოფილმებს, დიაპოზიტივებს, სქემებს, დიაგრამებს და ყველა სხვა ტექნიკურ საშუალებებს, რაც ჩვენს სკოლას გააჩნია. სკოლაში მოწყობილია 9 ავტომატიზებული კაბინეტ-ლაბორატორია.

აღსანიშნავია, რომ სკოლის აკადემიური მოსწრება უდრის 97,4 პროცენტს; ამას ხარისხობრივი მაჩვენებლებიც ამშვენებს — 1751 მოსწავლიდან 187 მოსწავლე ხუთოსანია, 357 — ოთხოსანი. სამუშაროდ წელს სკოლაში 14 მეორე წლიანი მოსწავლე გადმოგვყვა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამჟამად მათგან ყველა მოსწავლე ასწრებს. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს მიზნად აქვს დასახული ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო აამაღლოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე.

ჩვენი სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა გაზრდილი ვალდებულებები აიღო სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მომავალში კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ კაბინეტ-ლაბორატორიების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას და ახალგაზრდობის აღზრდისათვის ფართოდ გამოვიყენებთ ყოველ გაკვეთილზე ყრილობის დირექტივებში მოცემულ ღრმაშინაარსიან დოკუმენტურ მასალებს. ჩვენს სკოლას დიდხანს დაამახსოვრდება ღრმაშინაარსიანი ღია გაკვეთილი, რაც IX¹ კლასში ჩაატარა სკოლის ისტორიის მასწავლებელმა გ. გელაშვილმა. მან პარალელი გაავლო გასულ და მომავალ ხუთწლედებს შორის. მოსწავლეებს წარმოუდგათ კოლოსალური განსხვავება მომავალი ხუთწლედის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია ის უდიდესი ინტერესი, რაც სკოლის მშობელთა აქტივმა გამოიჩინა დირექტივების პროექტის მიმართ საერთოდ და, კერძოდ, იმ ნაწილის მიმართ, რაც ჩვენი ქვეყნის ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდას შეეხება, ლაპარაკია საბჭოთა სკოლასა და მის დანიშნულებაზე.

მშობლები უფრო დაუახლოვდნენ ჩვენს სკოლას, უფრო ახლობელი გახდა მათთვის ყველა ის საკითხი, რაც შეეხება აღზრდას, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას.

არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ჩვენი სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის ლია ახობაძის დაინტერესება იმ საკითხებით, რაც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტშია აღძრული, კერძოდ, სახალხო განათლების დარგში. მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით, ჩვენს სკოლასთან არსებულ მშობელთა უნივერსიტეტს დაეტყო უფრო სიცოცხლე, მის მიმართ მშობელთა დაინტერესება თვალსაჩინო გახდა, რადგან ლ. ახობაძე სათავეში ჩაუდგა ამ უნივერსიტეტის უფრო სრულყოფის საქმეს. ახლა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი ყველა მშობლისათვის ცნობილია.

გ. ძნელაძე,
თბილისის 132-ე საშუალო სკოლის დირექტორი.



ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანების წინაშე დგანან ქუთაისელი ავტომშენებლები. მათ კიდევ უფრო უნდა დაჩქარონ ძირითადი პროდუქციის — ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვება. ქარხნის კოლექტივი ეძებს ახალ რეზერვებს წარმოების გადიდებისათვის. საამქროებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებს ქარხნის საიარაღო საამქრო. სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საიარაღო საამქროს მოწინავე ამწყობი ზეინკლები (მარცხნიდან) ო. გელაშვილი, ვ. ბარდაველიძე და ს. დვალიშვილი სამუშაო უბანზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წლის ყოველ დროს უხვად!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და სამმართველოების ხაზით გასულ ხუთწლეულში დამზადებულია ორმილონნახევრად ტონაზე მეტი ხილი. ციტრუსების, ბოსტნეული, კარტოფილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ამ დროის მანძილზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულება ნახევარ მილიარდ მანეთს აღემატება.

„საქკონსერვხილბოსტნის“ მუშაკები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას. მათ 24 თებერვლისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ორი თვის გეგმა, ხოლო ყრილობის გახსნის დღისათვის დამატებით გაყიდეს 1.700 ათასი მანეთის პროდუქცია.

1970 წლის მუშაობის შედეგებსა და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანებს მიეძღვნა „საქკონსერვხილბოსტნის“ მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელიც გახსნა კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ხასაშვილმა.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. შარაშიძემ. კამათში მონაწილეობდნენ „საქკონსერვტრესტის“ მმართველი რ. დოლიძე, „საქხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი გ. დევდარიანი, „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი ლ. წულუკიძე, ქუთაისის კონსერვის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. გაბადაძე, ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი გ. ბაღაფარია, „საქხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორი ვ. კორძაძე, „საქხილბოსტანვაჭრობის“ № 29 მაღაზიის დირექტორი კ. ჭელინტი, სამხრეთ ოსეთის ხილისა და ბოსტნეულის დამზადების სამმართველოს უფროსი ა. არბოლიშვილი, ხაშურის რაიონის დამამზადებელი კანტორის უფროსი ნ. ქურდაძე.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციების, ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოების მუშაობაში, აგრეთვე ვაჭრობაში წარმატებებთან ერთად არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ხშირად ვერ სრულდება პარტიმენტის მიხედვით პროდუქციის, „საქხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი ლ. წულუკიძე, „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოს უფროსი ლ. ბაღაფარია, „საქხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორი ვ. კორძაძე, „საქხილბოსტანვაჭრობის“ № 29 მაღაზიის დირექტორი კ. ჭელინტი, ხაშურის რაიონის დამამზადებელი კანტორის უფროსი ნ. ქურდაძე.

„საქკონსერვხილბოსტნის“ მუშაკთა აქტივის კრება

□

განსაკუთრებით ბოსტნეულის, წარმოებისა და დამზადების გეგმები, რაც იწვევს ცალკეულ სახეობათა პროდუქტებით ვაჭრობის შეფერხებას. ხშირად დამამზადებელი პუნქტები, აქედან კი მაღაზიები ბოსტნეულს თანაბრად არ იღებენ მთელი სეზონის მანძილზე. თითქმის მთელ პომიდორსა და კიტრს ამზადებენ დროის მატარა მონაკვეთში, რაც ქმნის სიძნელეებს მათს გადამუშავებაში, გადაზიდვასა და რეალიზაციაში. ამის შედეგად პროდუქცია ფუჭდება, წყალში იყრება მიწათმოქმედთა შრომა.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს დამზადების გაუმჯობესებისათვის. უნდა მივაღწიოთ ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებელი საწარმოთა სანინშეო საქმიანობას, ვიყენებდეთ წარმოების არსებულ რეზერვებს, ვნერგავდეთ ახალ ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას. თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება მიექცა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის ვაჭრობის ძირეულად გაუმჯობესება, ბრძოლა პროდუქტების შენახვის, გადამუშავებისა და ვაჭრობის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ გვხვდება უპასუხისმგებლობის, დაუდევრობის ფაქტები, ზოგი მუშაკი დანაშაულებრივად იყენებს თავის თანამდებობას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ცხადაიამ. მან ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია „საქკონსერვხილბოსტნის“ სისტემის მუშაკთა წინაშე, თქვა, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვნად გაზრდა, მისი ხარისხის გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაფართოება, სინოყიერისა და გემოს გაუმჯობესება. ხუთწლედის მანძილზე საქართველოში 1,4-ჯერ უნდა გაიზარდოს ხილისა და ბოსტნეულის კონსერვის გამოშვება.

ამხ. ცხადაიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქკონსერვხილბოს

მსოფლიო ფოფლ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲝᲤᲚ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ

თვალსაჩინო წარმატებანი

9 მარტი. (საკდესი). საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი განვლილ პერიოდში და მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით დასახული გრანდიოზული ამოცანები მოწმობენ, რომ ლენინის სამშობლო ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმისაკენ, განაცხადა ხაკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ვენესუელის მშრომელთა ერთიანი ცენტრის თავმჯდომარემ კრუს ვილიეგასმა. სსრ კავშირის მიღწევები განვითარების უველა დარგში, აღნიშნა მან, მსოფლიოს ყველა ხალხის აღტაცებას იწვევს.

კრუს ვილიეგასმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანაა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება და საბჭოთა ეკონომიკისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება. საბჭოთა კავშირის მიღწევებს, თქვა მან დასასრულ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მსოფლიოს იმ ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

ᲙᲐᲘᲠᲝ

მხარს უჭერენ

9 მარტი. (საკდესი). „არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ კვლავ ცხადყო, რომ მზად არის დაიცვას მშვიდობა და სამართლიანობა ახლო აღმოსავლეთში“, — ნათქვამია აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მიერ აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელიც ეძღვნება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. სადათის უკანასკნელ გამოსვლას რადიოთი და ტელევიზიით.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია, ხაზგასმულია განცხადებაში, მხარს უჭერს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამართლიან პოზიციას, რომელიც ესწრაფვის ახლო აღმოსავლეთის კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებასა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციულ პოზიციას მხარს უჭერენ აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭო, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შრომის ფედერაცია, არაბ მეზავთობე მუშათა პროფკავშირების ფედერაცია, რომლის რიგებში 160 ათასზე მეტი კაცია და სხვა ორგანიზაციები.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

მოძმე პარტიათა ყრილობების შესახებ

9 მარტი. (საკდესი). ღირსეულად შევხვდეთ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ცხოვრებაში — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, — ეს მოწოდება გაისმის ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ყველგან პარტიულ კრებებზე, საწარმოო თათბირებზე, მუშათა, მოსამსახურეთა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა წერილებში, რომლებიც პრესაში ქვეყნდება.

ამ ორი მოვლენისათვის მზადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა აღიქვეს, როგორც თავიანთი ღვიძლი საქმე. ამკამად სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა უდიდესი ინტერესით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. დირექტივების პროექტის შესწავლა მიმდინარეობს ყველგან პარტიულ ორგანიზაციებში. მას ვრცლად აშუქებენ აგრეთვე ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ

9 მარტი. (საკდესი). 21 წლის ნეონაციისტს ემკაკარდ ვაილს, რომელიც გასული წლის 6 ნოემბერს დამიოთ თავს დაესხა ყარაულს საბჭოთა მეშმრების ძეგლთან ტირბარტენში და მძიმედ დაჭრა ორი გასროლით საბჭოთა მუშაები ი. ი. შჩერბაკი, მიუსაჯეს 6 წლის პატიმრობა.

ეს განაჩენი გუშინ გამოიტანა დასავლეთ ბერლინის ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის სამოქალაქო სასამართლომ, რომელიც აწარეკდა ამ საქმეს იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაული მოხდა ქალაქის ინგლისურ სექტორში და იგი ჩადენილი იყო ანტიჰიტლერული კოალიციის ოთხი სახელმწიფოდან ერთ-ერთი სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურის მიმართ.

რვა დღის სასამართლო გარჩევის მსვლელობაში დაადგინეს, რომ ამ დასავლეთბერლინელმა ნეონაციისტმა, რომელიც აშკარად იზიარებს ფაშიზმის იდეოლოგიას, განეზრახა თავდასხმა და ჯიდეკ დაესხა თავს საბჭოთა ძეგლის ყარაულს. თავდასხმისელად დამნაშავემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში შეიძინა და დასავლეთ ბერლინში ჩამოიტანა ავტომატური მცირეკალიბრიანი ოპტიკურსამიზნიანი შაშხანა. დანაშაულის ჩადენის ადგილას ამ ფაშისტურმა ნაბოლარამ დატოვა ფურცელი, რომელიც შეიცავდა მოწოდებას „გამოიყენონ უკანასკნელი საშუალება — ლიკვიდაცია“.

ჟურადღებას იპყრობს დაცვის უხამსი საქციელი: პროცესის დროს ვიინლის ორივე დამცველი შეეცადა თავისი გამოსვლები და დასაცავი პირის ჩვენებები გამოეყენებინათ იმისათვის, რათა გაეფლეგრებინათ ბერლინის საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. განსაკუთრებული კეთილდღეობა საქმეში გამოიჩინა ადვოკატმა ჰაინმა, რომელიც შეეცადა თავისი გამოსვლა სასამართლოზე გამოეყენებინა ნეოფაშისტთა გასამართლებლად.

ამ ადვოკატის წარსული ამხილა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ (გდრ). გაზეთებში გამოქვეყნდა ფოტოდოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ჰაინსი ჯერ კიდევ 1932 წელს შესულა სს-ის რაზმებში, როცა სასამართლო დარბაზში ჟურნალისტებმა მას ეს დოკუმენტი უჩვენეს, მან ვერ უარყო იგი.

სასამართლოს განაჩენს მოწონებით შეხვდა დასავლეთ ბერლინის დემოკრატიული საზოგადოება.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

სისტემის კრიზისი

9 მარტი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა მთელი რიგი ორატორების გამოსვლები, რომლებმაც შეიტანეს წინადადება — შეიზღუდოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უფლება, რომ აწარმოოს იმ ტიპის „გამოუცხადებელი ომი“, როგორსაც შეერთებული შტატები უკვე ათი წელი-წადია ეწევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების წინააღმდეგ.

მომმხილველთა აზრით, გამოსვლები კომისიაში სცილდება სხვადასხვა პარტიის კონტროლდაქვემდებარებულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფალთა შორის მეხლა-შემოხლის ფარგლებს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი სისტემისათვის.

ის ფაქტი, რომ სენატის ერთ-ერთი წამყვანი კომისია მთელი სერიოზულობით აყენებს პრეზიდენტის, როგორც ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, უფლებამოსილების გადასინჯვის საკითხს, მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის ღრმა კრიზისს,

კომისიის განსახილველად წარმოდგენილი ერთ-ერთი წინადადება 30 დღით ზღუდავს პრეზიდენტის მიერ ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენების ვადას.

ᲢᲝᲙᲘᲝ

უკან დაიხია

9 მარტი. (საკდესი). იაპონიისა და ამერიკის მონოპოლიების გაფფარებულ „საფეიქრო ომში“, რომელიც მრავალ წელს გრძელდებოდა, იაპონიის მონოპოლიები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. იაპონიის საფეიქრო მრეწველობის ასოციაციის თავმჯდომარემ ტ. ტანეგუჩიმ გუშინ გამოაცხადა, რომ იაპონელი მეწარმენი თანახმა არიან „ნებაყოფლობით“ შეამცირონ საფეიქრო საქონლის ექსპორტი კონფლიქტის მოგვარების მიზნით.

იაპონის მხარე დათანხმდა ბამბეულის, სინთეზური ნაწარმისა და შალეულის ექსპორტი ამერიკის ბაზარზე შეამცირონ 5-6 პროცენტით სამი წლის მანძილზე დაწყებული მიმდინარე წლით.

ავსტრა რა ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევს ამერიკის ბაზარი თავიანთი საფეიქრო საქონლით, იაპონიის კომპანიები წინააღმდეგობას უწევდნენ ექსპორტის შეზღუდვას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასაც ამერიკის მონოპოლიები მოითხოვდნენ.

იაპონია-ამერიკის არაერთგზის მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის ტექსტილის შეტანის ნორმების მხოლოდ უმნიშვნელო შეზღუდვა მოჰყვა. ამერიკის ტექსტილის მწარმოებლებმა, რომლებსაც აშინებდათ ძლიერი კონკურენცია, მოსთხოვეს კონგრესს მიეღო სპეციალური კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საფეიქრო საქონლის იმპორტის შეზღუდვის შესახებ. ამერიკის მხარის მაგრამ პოზიციამ აიძულა იაპონიის მხარე უკან დაეხია.

ტექსტილის მწარმოებელნი, აღნიშნავს „მანჩეტი“, შეიტყობილი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტის შეზღუდვის გადაწყვეტილებას თან დაკავშირებით. წერილ და საშუალო მეწარმეებს, აღნიშნავს გაზეთი, აფიქრებთ, რა გავლენას მოახდენს საფეიქრო საქონლის ექსპორტის შეზღუდვა საშინაო ბაზარზე და გაკოტრების თავიდან აცილების რა ღონისძიებებს იხმარს მთავრობა.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

● თავხედური პრეტენზიები ● კაბინეტის კრიზისი ● „მცხუნვარე ზამთარი“.

უფრო ნაყოფიერად, ვიდრე ოდესმე წინათ, იქმნებოდა უკანასკნელი კვირების განმავლობაში ვითარება, რათა მიღწეული ყოფილიყო შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

ასეთი ვითარების შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თანამიმდევრულმა ხაზმა, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტას. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს გ. იარინგს, რომ მზად არის დადოს შეთანხმება ზავის შესახებ ისრაელთან, თუ ისრაელი იკისრებს ვალდებულებას გაიყვანოს თავისი ჯარები მთელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან და შესასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას პალესტინელ ლტოლვილთა შესახებ.

მაგრამ ამჯერადაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამშვიდობო ინიციატივა წააწყდა ისრაელის შეურიგებელ და გამიმწყვეტ პოზიციას. ტელ-ავივის მთავრობამ განაცხადა, რომ „არ დაიხევს 1967 წლის 4 ივნისის დასაზვების ხაზზე“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ გაიყვანს თავის ჯარებს აგრესიის გზით დაპყრობილი მთელი არაბული ტერიტორიებიდან.

ასეთმა თავხედურმა პასუხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა დასავლეთის ის წრეებიც კი, რომლებიც ჩვეულებისამებრ მხარს უჭერენ ისრაელის ხაზს. ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, მაგალითად, იძულებული იყო ტელ-ავივის პოზიცია დაეხასიათებინა როგორც „სამშვიდობო ინიციატივის ბოკოტირების ცდა“.

შეიძლება ითქვას, ისრაელის პოლიტიკა ყველაზე გულახდილად ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ ამასწინანდელ გამოსვლაში. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მ. დაიანმა. „ჩვენმა მამებმა, — იგვეხნიდა ტელევიზიელი „ქორი“, — მიაღწიეს საზღვრებს, რომლებიც აღიარებული იყო პალესტინის განაწილების 1947 წლის გეგმაში.

ჩვენმა თაობამ მიაღწია 1949 წლის საზღვრებს (ესე იგი იმ ხაზებს, რომლებიც დაიკავეს ისრაელის ჯარებმა 1947-1949 წლების ომის შედეგად — რედ.), ხოლო „ექვსი დღის თაობამ“ (მხედველობაშია 1967 წლის აგრესიის მონაწილეები — რედ.) მიაღწია სუეცის არხს, მდინარე იორდანსა და გოლანის მაღლობებს სირიაში“. „ეს, — ხაზგასმით აღნიშნავდა შემდეგ დაიანი, — დასასრული როდია, ვინაიდან ცეცხლის შეწყვეტის ახლანდელი ხაზების შემდეგ კიდევ იქნება ახალი ხაზები, მაგრამ ისინი გაიჭიმება მდინარე იორდანიის გადმა, შესაძლოა ლიბანში და, იქნებ, მიაღწევს ცენტრალურ სირიამდე“.

მაგრამ ისრაელისა და მისი მფარველების ყველა ვარაუდი, რომ იგი შეძლებს გამაგრდეს დაპყრობილ არაბულ მიწებზე, განწირულია ჩასაფშვნავად. როგორც განაცხადა ოთხი დიდი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ამ დღეებში კაიროში გამართული შეხვედრის დროს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. რიადმა, არაბული ქვეყნები „არავითარ პირობებში არ მისცემენ ნებას ისრაელს განსხორციელოს თავისი ექსპანსიონისტური პრეტენზიები“.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, რომელიც 28 თებერვალს გამოქვეყნდა, ხაზგასმულია, რომ „საბჭოთა კავშირი, არან ხალხთა მეგობარი, უწევს მას საჭირო პოლიტიკურ და მატერიალურ დახმარებას ისრაელ აგრესორთა მიერ დაპყრობილი მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ დახმარებას კვლავაც გაუწევთ“.

მალე მას შემდეგ, რაც ოსლოს ეწვია ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარე ფ. მალფატი, რომელმაც ნორვეგიის ხელმძღვანელებთან განიხილა „საერთო ბაზარში“ ნორვეგიის მიღების პირობები, ამ ქვეყანაში დაიწყო მთავრობის კრიზისი. პრემიერ-მინისტრი პერ ბორტენი — ცენტრის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — 2 მარტს გადადგა, და მეფემ დაავალა სტორტინგის (პარლამენტის) თავმჯდომარეს შეისწავლოს ახალი კაბინეტის შედგენის შესაძლებლობანი.

კრიზისის მთავარი მიზეზი იყო კოალიციურ მთავრობაში „საერთო ბაზრის“ საკითხების გამო წარმოშობილი უთანხმოება. მსხვილი კაპიტალის ინტერესების გამომხატველი ხეირეს პარტია და მეორე ბურჟუაზიული პარტია — ვენსტრე მოითხოვენ, რომ ნორვეგია შეუერთდეს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას, მაშინ როცა მათი პარტნიორი კოალიციაში— ცენტრის პარტია, რომელიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წრეების წარმომადგენელია, სულ უფრო კრიტიკულად ეკიდება ასეთ გეგმებს.

ეს შემთხვევითი როდია: „საერთო ბაზარში“ შესვლა მტკივნეულად დაეტყობოდა უწინარეს ყოვლისა ნორვეგიის სოფლის მეურნეობას. ეკონომისტთა გამოანგარიშებით, ნორვეგიელ ფერმერთა შემოსავალი სულ ცოტა 40 პროცენტით შემცირდებოდა.

ამასთან ნორვეგიის მრეწველობის ბევრი დარგიც უნდა ჩაბმულიყო უთანასწორო კონკურენტულ ბრძოლაში დასავლეთ ევროპის მძლავრ მონოპოლიებთან. დამდუპველია ასეთი კურსის პოლიტიკური შედეგებიც. ნორვეგიის შესვლა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში სერიოზულად შეზღუდავდა და საბოლოო ანგარიშით გამოიწვევდა ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვას, მის დამოკიდებულებას „საერთო ბაზრის“ ზეეროვნულ ორგანოებისადმი.

ნორვეგიის საზოგადოებრიობას ძალიან აწუხებს ასეთი პრესპექტივა. საგულისხმოა, რომ „საერთო ბაზარში“ ქვეყნის მონაწილეობის წინააღმდეგ ახლა გამოდიან არა მარტო მემარცხენე პარტიები, ბევრი პროფკავშირი და ახალგაზრდული ორგანიზაცია, არამედ საკმაოდ ფართო ბურჟუაზიული წრეებიც კი.

სულ უფრო მეტ ნორვეგიელს ესმის, რომ ასეთი კურსი გააღრმავებს ევროპის გათიშვას დაპირისპირებულ დაჯგუფებებად, ეწინააღმდეგება სრულიად ევროპის თანამშრომლობისა და ფართო საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების იდეას, მათ შორის აგრეთვე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარების იდეას.

ინგლისი ამ კვირაში შეარყია ისეთი ძალის კლასობრივმა ბრძოლამ, როგორიც არ ახსოვს ამ ქვეყნის ომისშემდგომ ისტორიას. ლონდონის პრესა შედარებათა ძიებაში იძულებული გახდა გაეხსენებინა შორეული 1926 წელი, როცა საყოფაცხოვრებო გაფიცვის შედეგად ცხოვრება ბრიტანეთის კუნძულებზე პრაქტიკულად ჩამკვდარი იყო.

ამ მრისხანე ამბებს, რომლებმაც ოთხნახევარი ათეული წლის წინათ ესოდენ დაამძიმეს გაბატონებული კლასები, გაზეთები კვლავ იგონებენ, როცა აღწერენ 24-საათიან მასობრივ გაფიცვას, რომელიც 1 მარტს მოედო მთელ ინგლისს. ამ დღეს გაჩერდა კონვეიერები კოვენტრის, ბირმინჰამის, ოქსფორდის, დერბის საავტომობილო ქარხნებში. დაჩუმდნენ ნიუკასლისა და გლასგოს გემთსაშენები. არ გამოსულა არც ერთი საერთო-ეროვნული გაზეთი.

გაფიცვის მონაწილეებმა — ორ მილიონზე მეტმა კაცმა — პროტესტი განაცხადა „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“ მთავრობის მიერ წამოყენებული ბილის („კანონპროექტის“) წინააღმდეგ,

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ნიუ-იორკი, 9. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაავრცელა ნოტა, რომელშიც ამერიკელ ხელისუფლებს მკაცრ პროტესტს უცხადებს იმის გამო, რომ მიმდინარე წლის 3 მარტს მისიის შენობაში შეაგდეს ცეცხლგამჩენნივთიერებიანი ბოთლები.

ნოტაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელს გაეგზავნა, ნათქვამია, რომ არაერთხელ დასხმიან თავს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობებს, თუმცა დამნაშავენი ჯერ-მინილი არ არიან, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, აღნიშნულია ნოტაში, რომ იგი სიონისტმა ბანდიტებმა ჩაიდინეს.

ერაყის წარმომადგენლობამ მოითხოვა, რომ ამერიკის ხელისუფლებმა დასაჯონ დამნაშავენი და განახორციელონ მომავალში ასეთი აქტების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

ᲛᲘᲛᲘᲥᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲡ

ᲰᲐᲐᲒᲐ. 9. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა ბ. ვიკერსმა საერთაშორისო სასამართლოს სხდომაზე კვლავ დაადასტურა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარყოფს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინადადებას ნამიბიაში რეფერენდუმის მოწყობის შესახებ.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი აფრიკის ამ ტერიტორიის მართვისათვის გაუქმდა 1966 წელს. მაგრამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა თავს არიდებს ამ გადაწყვეტილების შესრულებას და ყოველნაირ მანევრს მიმართავს, რათა გაახანგრძლივოს იქ თავისი ბატონობა.

წინადადება რეფერენდუმის შესახებ, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონტროლით მოეწყობოდა, ერთ-ერთი ასეთი მანევრია.

ᲝᲗᲮᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 9. (საკდესი). „აპოლონ-14“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის მიერ დედამიწაზე ჩამოტანილი მთვარის ქანის ნიმუშები შედგენილობით ძალზე რთული და ძველია. ასეთია მეცნიერთა აზრი, რომლებიც მთვარის ქანებს სწავლობენ ტეხასის შტატის ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში. მათი აზრით, ზოგიერთი ქვა 4 მილიარდი წლისაა. მთვარის ქვებს შორის ერთი ძალზე ჰგავს მარმარილოს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-8 გვერდი, ოთხშაბათი, 10 მარტი, 1971 წ.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ მოეწყო წვრილი სავაჭრო დაწესებულებების მფლობელთა გაფიცვა იმასთან დაკავშირებით რომ ძალაში შევიდა მომატებულ ღირებულებაზე, გადასახადის დაწესების კანონი. ამ კანონის ერთ-ერთი მუხლი, რომელმაც ბელგიის მოსახლეობის საშუალო ფენების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია, ითვალისწინებს ბელგიელების მიერ სახელმწიფოს ხარჯზე გარკვეული თანხის შეტანას, რომელსაც მათ დაუბრუნებენ 65 წლის ასაკის მიღწევისას. ამ თანხის დაბრუნების დროს მხედველობაში არ მიიღება ფასების ზრდა და, რასაკვირველია, ბელგიური ფრანკის გაუფასურება.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: გაფიცულნი ბრიუსელის ქუჩებში.
ფოტო ნიუს სერვის—საკდესისა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

რასისტული კანონპროექტი

9 მარტი. (საკდესი). გუშინ მთავრობამ თემთა პალატის განსახილველად წარუდგინა ახალი კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს აფრიკელ და აზიური წარმოშობის პირთა იმიგრაციას ინგლისში. ამ კანონპროექტის შესაბამისად აზიური და აფრიკული წარმოშობის პირთ, რომელთაც ბრიტანეთის პასპორტები აქვთ, პრაქტიკულად იერარქიულად ინგლისში შესვლა, თუ მათი მამები ან პაპები წარმოშობით არ იყვნენ ინგლისელები.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე ლონისძიებებს ინგლისიდან „ფერადკანიან იმიგრანტთა“ წასვლის „წასახალისებლად“.

დებატების დროს, რომლებიც გვიან საღამომდე გრძელდებოდა, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ახალი კანონპროექტის ანტიდემოკრატიულ ხასიათს, აღნიშნეს, რომ ეს არის კონსერვატიული პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთისადმი სერიოზული დათმობა.

დებატების დროს პარლამენტის შენობასთან დააყენეს პიკეტები რასისტული კანონპროექტის წინააღმდეგ. პროტესტის ნიშნად, ინგლისს ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მათ შორის „მოქალაქეობრივ თავისუფლებათა ეროვნული საბჭოს“ „რასობრივი ურთიერთდამოკიდებულების კომიტეტის“ და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ეწვივნენ პარლამენტს და მტკიცე პროტესტი განაცხადეს ამ კანონპროექტის წინააღმდეგ.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ახალი კონტინგენტი იგზავნება ჩრდილოეთ ირლანდიაში იქ უკვე მყოფი 8000 ჯარისკაცის „დასახმარებლად“. მორიგი გაგზავნის საბაბი გახდა მღელვარების ახალი აფეთქება ბელფასტში.

● ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲘᲐ გაკოტრებული კომპანიის „როლს-როისის“ ქარხნების ოთხნახევარი ათასი მუშა. ანალოგიური ბედი მოელის კიდევ 12.000 მუშას, რომლებიც ფირმის ავიამოტორსაშენებელ საწარმოებში მუშაობენ.

● 1600-ᲛᲔᲠ რიდაქციის მუშაკი და სტამბის მუშა დაკარგავს სამუშაოს ინგლისის გაზეთის „დეილი სკეტჩის“ დახურვის შედეგად, რომელმაც ვერ გაუძლო მწვავე კონკურენტულ ბრძოლას. ფორმალურად „დეილი სკეტჩი“ უერთდება „დეილი მეილს“. გაზეთი „დეილი სკეტჩი“ დაარსდა 1909 წელს.

● ᲓᲐᲧᲝᲤᲜᲔᲑᲣᲚᲘ მოქმედების ბომბის აფეთქებამ ხანძარი გამოიწვია ტანკოსის სამხედრო-საჰაერო ბაზაში, რომელიც 150 კილომეტრზე მდებარეობს პორტუგალიის დედაქალაქიდან. ცეცხლმა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპო ანგარების მდგომი თვითმფრინავები. პორტუგალიის ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, ხანძარი საბოტაჟის შედეგი იყო. საბოტაჟის ეს აქტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი აქტია პორტუგალიაში უკანასკნელ დროს.

● ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲨᲘ ესპანეთის სანაპიროს ახლოს ავარია შეემთხვა ორ დიდ ტანკერს. ინგლისის ტანკერ „ოუშენ ბრიჯზე“ რომლის წყალწყვა 66 ათასი ტონაა ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შემდეგ გემი ცეცხლის ალში გაეხვია. ტანკერის ეკიპაჟი — 50 კაცი, აიყვანა მეორე ტანკერმა „ბრიტიშ კომეტამ“, რომელმაც აგრეთვე ეფერში უბედურების სიგნალი გაგზავნა. ამ გემის კორპუსში წყალმა გაუარა და ტანკერის სამანქანო განყოფილება დატბორა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ-ᲤᲠᲐᲜᲒ ᲞᲠᲔᲡᲘ-ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

18 თებერვალს ღამით მიწისძვრა ბიძგებით შეშინებული მეცხოვრენი დასავლეთ გერმანიის ქალაქების ფრანკენ-ფლადასის, აასენისა და ერკელენციის ქუჩებში გამოცვივდნენ. გაღვიძება აგრეთვე კრეფელდის, ოლიხის და დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ათობით სხვა დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებს. ბიძგები 10 წამს გრძელდებოდა. ბრენსბერგისა და ბოპუმის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს საშუალო ძალის — 4,7 ბალიანი მიწისძვრა რიხტერის ცხრაბალიანი სკალით.

რურის ოლქის ბევრ ქალაქში ამ ღამეს სახლებში ირყეოდა ჭაღები, ჭრიალებდა ავეჯი, კარადებში ჭურჭელებდა ჭურჭელი. მიწისძვრების ეპიცენტრი იყო ჰოლანდიის ქალაქ ლერმონდთან, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის ახლოს მდებარეობს.

ეპიცენტრის უფრო დაშორებულ რაიონებში ადამიანთა უმრავლესობას ყურადღება არ მიუქცევია ბიძგებისათვის. ზოგიერთმა, ვისაც გაღვიძა, იფიქრა, ქუჩაში მძიმედ დატვირთულმა ავტოფურგონებმა გაიარესო.

ნიადაგის რყევა აღნიშნა დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სეისმურმა სადგურმა. მიწისძვრები იშვიათად ხდება ევროპის ამ რაიონში. ადგილობრივი ქრონიკა უკანასკნელ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდი ნბალიანი ბიძგი აღნიშნული იყო 1756 წლის 18 თებერვალს გერმანიის ქალაქ დიურენის რაიონში. მაშინ აასენში დაიღუპა ორი ადამიანი, დაინგრა რამდენიმე სოფელი. 1951 წლის 14 მარტს ეისკირხენის რაიონში ბონის ახლოს მოხდა 5,5 ბალის ძლიანი მიწისძვრა. მისი შედეგი იყო 11 დაჭრილი და რამდენიმე მილიონი მარკის მატერიალური ზარალი. (საკდესი).

ᲑᲝᲜᲘ

ᲜᲔᲝᲜᲐᲪᲘᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

9 მარტი. (საკდესი). ამ ბოლო დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში ნეოფაშისტებმა მოაწყვეს პროვოკაციული გამოსვლები.

კელნში ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან ახლო მდგომი ნეონაციისტური ორგანიზაციის, „გერმანიის სოციალური აქციის“ წევრთა ჯგუფი შეეჯახება ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის პრემიერ-მინისტრის ო. ფიუნის (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) სახლთან.

ნეოფაშისტები შეურაცხყოფდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციური მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეებს, მოითხოვდნენ, რომ მათ ოური თქვან სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე.

მხოლოდ პოლიციის გაძლიერებულმა რაზმმა შეძლო გაიერეკა პროვოკატორები. 15 კაცი დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ პისტოლეტები და ასაფეთქებელი ნივთიერება.

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

9 მარტი. (საკდესი). არგენტინის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრში ქალაქ კორდოვაში ამ დღეებში გაიმართა მესამე თათბირი მოძრაობის არგენტინელთა ეროვნული შეხვედრა.

მისმა 1.200 მონაწილემ გადაწყვიტა გაძლიერონ ბრძოლა სხვა ორგანიზაციებთან კონტაქტებს-გაფართოებისა და თავიანთ რიგებში არგენტინის პროგრესული ძალების შემდგომი მოზიდვისათვის.

მოძრაობა არგენტინელთა ეროვნული შეხვედრა შეიქმნა 1970 წლის ნოემბერში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის მიზნით. ამ მოძრაობაში წარმოდგენილი არიან კომპარტია, სოციალისტური და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიები, აგრეთვე ზოგიერთი პროფკავშირი, გლეხთა და სტუდენტთა ორგ

საქართველოს ქუთა-ბაჯში

ინტერნაციონალური სალამო

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ბევრი აქაური მშრომელი ტურისტული სიგზურებით იყო დემოკრატიულ რესპუბლიკებში. რაიონის სკოლებს მომოწერა აქვთ იქაურ სკოლებთან.

ამას წინათ კარგი თათბირობა გამოიჩინა პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა (დირექტორი ნ. სახვაძე), რომლის ინტერნაციონალური მეგობრობის წრის წევრებმა და პიონერულმა აქტივმა გამართეს სალამო თემაზე — „ვსწავლობთ დემოკრატიული რესპუბლიკების ბავშვთა ცხოვრებას“.

ტურისტებმა ინტერნაციონალური მეგობრობის წრეს უსახსოვრეს დემოკრატიული რესპუბლიკების ქალაქების ფოტოსურათები, სალამო კონცერტით დამთავრდა.

ბუნების ჰიპერბოლ ექტრფიალენი

დავიცვათ ბუნების სიცოცხლე და სილამაზე, გავაგებინოთ ტყეები! ამ კვთილშობილურ და საშვილიშვილო საქმეში თავიანი წვლილი შეიტანეთ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის კაბინეტის წევრებმა.

გაზაფხულის ამ პირველ დღეებში მოსწავლეებმა სასახლეში მოაწყეს ბუნების ნორჩ მეგობართა საქალაქო შეკრება. იგი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავს.

ყველანაირი მორთულ დარბაზში თითქოს გაზაფხული შემოჭრილიყო. მოსწავლეებს უზვად შემოეტანათ მშობლიური ბუნების მადლი და სილამაზე. ყველგან, ყველგერში ცოცხლდებოდა ბუნების დიდი მეგობნის ჭაბუს დიდებული სიტყვები: „ნმტაკ სიმდერა შემეძლოს, ნეტარ ალი დამბადებულს ჩემთვის ნიმი მოეცა, რომ მეძო ბალი და ლა დაბუნელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხმები, ეს მთები, ის ჭალები, ლაბუა ჩიტები“...

• პატარებმა თავიანთ შეკრებაზე მოიწვიეს ბუნების ქომაგები და მეზობლები — საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. მიმარნიშვილი და მისი მოადგილე კ. მამისაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დოცენტი გ. ენუქიძე, კომპოზიტორები რ. ლადიძე, ს. მარიანაშვილი; პატარებს ესტუმრნენ სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები მ. გახოკიძე და ა. პირმისაშვილი; გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი, პოლკოვნიკები მ. ქარჩუხაშვილი, ს. შაპოვალოვი, მ. ბუსკაძე, გ. ქირია, პ. კუპატაძე, მაიორი გ. პაპაშვილი და საბრძოლო დიდების სამი ორდენის კავალერი მ. ჯაფარიძე.

ბუნების ნორჩ მეგობართა შეკრება გახსნა თბილისის 47-ე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. ქერდიანმა. შეკრების მონაწილეებს პატარკი ჩაბარა 140-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ ვ. ცხადაძემ; შარშან ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების 400.200 წევრმა მშობლიური მხარის უტყეო ფერდობების, ხევების, გზების გასამწვანებლად, ომში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად ყველანაირებისა და ტყე-პარკების მოსაწყობად დარგო და გააბარა ერთი მილიონი ხე და ბუჩქი.

„ბუნება მუსიკაში“ — ასეთი იყო თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლის ჭ. მირიანაშვილის მოხსენების თემა. მან ფაქიზად გადმოსცა მუსიკით აღქმული ბუნების მშვენიერება.

შეკრების მონაწილე პატარებმა ილაპარაკეს ბუნების დაცვის ეუიკლებლობაზე, იმაზე, თუ რა წვლილს შეიტანენ იმ დიდი ღონისძიების განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში საიუბილეოდ 50 მილიონი ხის დარგვას. შემდეგ პატარებმა წაიკითხეს ლექსები დიდბუნებაზე და შეასრულეს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

შეკრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი, პოლკოვნიკი ს. შაპოვალოვი და საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კ. მამისაშვილი.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორმა შ. ფეიდარიანმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და გადასცა სამახსოვრო სიგელები.

დასასრულ უჩვენეს ფერადი ფილმი „საქართველოს ნაკრძალები“.

ეს შეკრება დიდხანს ემახსოვრებათ ბუნების პატარა მოტრფიალეებს.

რ. მუხიგულაშვილი.

აჩვენებს სახელმწიფო უნივერსიტეტი...

ორი წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასწავლო-სამეცნიერო კინო-ტელელაბორატორია. ამ ხნის განმავლობაში აქ შეიქმნა მრავალი საინტერესო ფილმი, რომელიც ფართო აუდიტორიისთვისაც არის განკუთვნილი.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტმა საუკეთესოდ ცნო ფილმი „უნივერსიტეტის ერთი დღე“, რომელშიც უნივერსიტეტის ცხოვრებაა ასახული, და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოდა ავტორი, ლაბორატორიის გამგე თ. ქვარიანი და ოპერატორი მ. ასიტაშვილი.

ყურადღებას იქცევს ორი ახალი ნამუშევარიც: „დიალოგი“, „გამოცდები“ (ავტორები ნ. დროზდოვი, ი. მერაბიშვილი), რომლებიც გაიგზავნება პრაღაში ახალგაზრდა კინომოყვარულთა ფესტივალზე — „კამერა-71“.

მაყურებელი უახლოეს ხანში იხილავს ფილმებს „ყირიმი-70“, „უნივერსიტეტის მაცნე“, „სტოლეტოვი“, „მინარეთების ქვეყანაში“ „მდუღარე ქვები“ და სხვ.

ამჟამად კინო-ლაბორატორია მუშაობს ახალ ფილმებზე, რომლებშიც აღწერილი იქნება უნივერსიტეტის მატიანე, სპორტული ცხოვრება, სპეციალური ფილმი მიეძღვნება ლენინს უკრაინკას.

ნ. დოგუზაშვილი.

მეგობრობის მატარებლით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხარკოვი, მინსკი, ბრესტი, კალინინგრადი, რიგა, ვილნიუსი, ლენინგრადი, ნოვგოროდი, მოსკოვი — თითქმის ორი კვირა ეცნობოდა ამ ქალაქების ღირსშესანიშნაობებს ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელთა 400-მდე წარმომადგენელი. მათ ამას წინათ ამოგზაურეს ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“.

მოგზაურობას თავისებურ ელფერს ანიჭებდა ქალაქ ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც ტურისტულ მატარებელს თან მიჰყვებოდა.

ფლოტის ახალი შევსება

მეხუთმე წელია ბათუმის № 1 პროფტექნიკური სასწავლებელი კადრებს უმზადებს საზღვაო ფლოტს. ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელმა გამოუშვა 700-მდე მატროსი და მოტორისტი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანაოსნო გემებზე და ნავსადგურებში.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა სასწავლებლის დანიშნულება. ამჟამად საზღვაო პროფესიას ეუფლება სამასზე მეტი ახალგაზრდა. ბევრი მათგანი პრაქტიკას გადის ზღვაზე, ჩინებულად ეწევა საზღვაო ვახტს. ამაზე მეტყველებს „ფრიდრის ენგელსის“, „გორის“, „ჩკალოვისა“ და სხვა ტანკერების მეთაურთა თხოვნა, — პრაქტიკანტები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაამწესონ მათს გემებზე.

ბ. ჩხაიძე.

გიგლიოთეკა—გამოფენის მონაწილე

თერჯოლა. (საკ. კორ.). შინაარსიანი და მრავალფეროვანია თერჯოლის რაიონული ბიბლიოთეკის საქმიანობა. ბიბლიოთეკის მუშაკები მშრომელებში ნერგავენ წიგნის სიყვარულს. ათასმა მკითხველმა შარშან 20 ათასზე მეტი წიგნი წაიკითხა.

ახლა აქ განსაკუთრებული ყურადღება ეძღვნება სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესთვის მზადებას, ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტის პროპაგანდა-განმარტებას.

ბიბლიოთეკის მუშაობა სათანადოდ დაფასდა. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ბიბლიოთეკის საკავშირო სორგანიზაციო კომიტეტისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურა. ბიბლიოთეკამ წარმატება მოიპოვა აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დათვალიერებაში.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს აგიტატორი“ № 5

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ეურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მეხუთე ნომერი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მეორე, მესამე ნომერი.

ბაქსის მძარცველები მაცხოვნენ

არ ვიცი, თბილისელმა მოქალაქეებმა შეამჩნიეს თუ არა — უკანასკნელ დროს ტაქსის მძღოლები როგორღაც ეჭვითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ მგზავრებს: ავხედ-დაბეჯდავდა ტაქსისტი, მერე დაწვრილებით გამოკითხავდა, სად, რომელ უბანში, რა ადგილას მიდიოდი, და თვალში თუ არ მოუვიდოდი და მარშრუტიც არ მოეწონებოდა, სულაც უარს ამბობდა წაყვანაზე — არა, ძმაო, თავი დამანებე, ძალაა? ბენზინი გამითავდა, გარაჟში მივდივარო, აბუზღუნდებოდა.

მგზავრი ატყობდა, რომ მძღოლი რაღაცას ეშმაკობდა, ბენზინი კი არა, კაკ რაღაც სხვა ამბავი იყო, მაგრამ სიმართლეს რას გიიგებდი, საქმეზე მოჩქარე კაცს ამდენი გამოძიების თავი სად ქონდა!

სიმართლე კი ის იყო, რომ ბოლო დროს ქალაქში ტაქსების ძარცვა გახშირდა, რის გამოც მძღოლები შიშში ჩავარდნენ, ხიფათი ყოველ ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი, რადგან ყველაფერი უბრალოდ და მარტივად ხდებოდა: ჩაჯდებოდა ტაქსში ორი-სამი ახალგაზრდა, გაემართებოდნენ სასურველი მიმართულებით, შეაჩერებინებდნენ მანქანას სადმე ბნელ კუთხეში და სიკვდილის მუქარით უკანასკნელ კაპიკამდე გაძარცვავდნენ მძღოლს.

ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად ბოროტმოქმედნი ვერ გამოავლინეს. ძარცვის შემთხვევები კი კვლავაც მეორდებოდა.

ბოლოს ორ ბოროტმოქმედს სწორედ ძარცვის მომენტში მიუსწრეს და იქვე შეიპყრეს.

ეს იყო გუშინწინ 8 მარტს. ჯერ კიდევ ღამე იყო — 5 საათი, როცა მსუბუქი ტაქსომოტორების № 2 კანტორის ავტომანქანა „ვოლგა“, რომელსაც მძღოლი ზ. ტეზელიშვილი მართავდა, გარაჟიდან გამოვიდა. პავლოვის ქუჩაზე ტაქი ორმა ახალგაზრდამ გააჩერა, — საბურთალოს ქუჩაზე წაგვიყვანეო, უთხრეს მძღოლს, მერე იპოდრომისაკენ წასვლა უბრძანეს. აქ კი ბევრი არ დაუყოვნებიათ: ან ფული ან სულიო, ეკნინ მას. ეს-ეს არის გარაჟიდან გამოვედი და კაპიტალიზმის ბოროტებანი ბანაკში მითითებულ ადგილას.

მძარცველები აღმოჩნდნენ ტარიელ შალვას-ძე აბრამოვი და რომან ანდრიასძე კოზმარეკი.

ტ. აბრამოვს ეს-ეს არის შეუსრულდა 20 წელი. მაგრამ მან უკვე მოასწრო საბრალდებულო სკამზე მჯდარიყო. შარშან დეკემბერში ხულიგნობისათვის გასასამართლეს და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა. 7 მარტს შინ, თბილისში გამოიპარა, რ. კოზმანოვი მონახა. ის ღამეს ერთად იყვნენ საქეიფოდ, დილით კი ცოტა ფულის შოვნა გადაწყვიტეს.

რ. კოზმანოვი 22 წლისაა. პროფესიით მძღოლი ვარო, ამბობს, მაგრამ ბოლო დროს არსად არ მუშაობდა, უსაქმური იყო და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა.

ასეთი ადამიანებისაგან კარგი რა იყო მოსალოდნელი. ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს და ალბათ ამ გარეგნართა სხვა ბნელ საქმეებსაც ნათელი მოეფინება.

ქების ღირსნი არიან ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანყოფილების (უფროსი ლ. შავრაძე) მუშაკები ლეიტენანტი ანზორ ზურაბაული და მილიციელი ვალენტინ ხალიმოვსკი. სწორედ მათი ოპერატიული და გაბედული მოქმედების შედეგად გახდა შესაძლებელი ამ საშიშ დანაშაულთა შეპყრობა. ერთიც და მეორეც შინაგან საქმეთა ორგანოებში, შეიძლება ითქვას, ახალბედები არიან. ანზორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დამთავრა და ამ ორი წლის წინათ განყოფილებაში ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. ვალენტინი კი სულ რამდენიმე თვეა, რაც მილიციაში მუშაობს. საღამდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დაიწყო ამ განყოფილებაში მუშაობა. მიუხედავად ახალგაზრდობისა და გამოუცდელობისა, ამ ადამიანებმა გაბედულება გამოიჩინეს ბოროტმოქმედთა შეპყრობისას...

მ. როგაჭიძე.



ეს მოხდა მე-15 რაუნდზე

მოჭამედ ალი ფარხმალს პრ ჰყრის

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკადესის კორ.). 8 მარტს გვიან ღამით ბალხით გაჭედილ „მედიხონ სკვერ გარდენში“ წყდებოდა მსოფლიოს ამხოლუტური ჩემპიონის ტიტულის ბედი პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ბრძოლა პრეტენდენტებს — 29 წლის მოჰამედ ალისა და 27 წლის ჯო ფრეზერს შორის თხუთმეტიე რაუნდს გაგრძელდა. ქულებით მსაჯებმა გამარჯვება ფრეზერს მიანიჭეს.

მძიმე წონის მოკრივეთა ორთაბრძოლა დაძაბული იყო. პირველ რაუნდში დაზვერვის შემდეგ მეტოქეთა ტაქტიკა ნათელი გახდა. ფრეზერი ცდილობდა მიემწყვდია ალი კუთხეში ან ბაგირთან და ძლიერი დარტყმები მიეყენებინა კორპუსზე. ალიმ აირჩია კონტრიერიშების ტაქტიკა, ცდილობდა დარტყმები მიეყენებინა თავში, მაგრამ მისი თავდაცვა არ იყო მტკიცე. ფრეზერის იერიშები, რომელიც რამდენიმე ტაქტიკური ხერხით სარგებლობდა და იმედს ამყარებდა თავისი დარტყმების ძალაზე, შედეგიანი გამოდგა.

როგორც ჩანს, ალიმ ჯეროვნად ვერ შეაფასა მოწინააღმდეგე (მატჩის დაწყების წინ მან განაცხადა, რომ მეექვსე რაუნდში დაამარცხებს ფრეზერს). ორთაბრძოლის მეორე ნახევარში ალის დარტყმებმა დაკარგა სიზუსტე, ხოლო რაც მთავარია ალარ იყო ისე ძლიერი, როგორც ფრეზერის დარტყმები. ალის სისწრაფეც ნაკლები იყო.

ოცდათასიანი აუდიტორიის შეძახილებში „ალი! ალი! ალი!“ დაიწყო მერვე რაუნდი. ალიმ განაზორციელა ძლიერი დარტყმების სერია. მაგრამ ფრეზერის უპირატესობა სულ უფრო აშკარა ხდებოდა. ამ უპირატესობას მან ადვილად როდი მიაღწია: ცხვირიდან სისხლი სდიოდა. მეათე რაუნდში ფრეზერს წარბი გაუხსკდა. მეთერთმეტე რაუნდში ალიმ წაბორძიკა, მაგრამ მაშინათვე წამოხტა და განაგრძო ბრძოლა. მან წაკარ მეცამეტე, მაგრამ მოიგო მეთოთხმეტე რაუნდი.

მეთხუთმეტე რაუნდში ფრეზერმა დაანოკდაუნა ალი. გაისმის ფინალური გონგის ხმა და რეფერი აცხადებს, რომ მსაჯებმა გამარჯვებულად ცნეს ფრეზერი.

ბრძოლის შემდეგ ალი ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზეც კვერ მოვიდა. მას უნა ძლიერ დაზიანებული აღმოაჩნდა და სასწრაფოდ გაგზავნეს ჰოსპიტალში რენტგენზე გასაშუქებლად.

როგორც ცნობილია, ალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს 1967 წელს, როცა უარი თქვა შესულიყო ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში და საომრად ვიეტნამში გამგზავრებულიყო. სამ წელიწადზე მეტ ხანს არ აძლევდნენ მას რინგზე გამოსვლის უფლებას, და ამ იძულებითმა შეხვენებამ თავი იჩინა.

ფრეზერისათვის ეს იყო 27-ე გამარჯვება ზედიზედ.

გამოაცხადეს, რომ წლის დამლევს გაიმართება მატჩი-რევანში. ალის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექს-ჩემპიონი იბრძოლებს თავისი ტიტულისათვის ახალ შეხვედრებში.

მოკრივეთა ორთაბრძოლამ იმტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რითაც ისარგებლეს სპორტის კომერსანტებმა. მეტი რეკლამისათვის გამოაცხადეს, რომ ბრძოლის მონაწილენი მიიღებენ პროფესიული კრივის ისტორიაში უდიდეს ჰონორარს: ორნახევარ-ორნახევარ მილიონ დოლარს. ხოლო თვით ბიზნესმენებმა მიიღეს ათჯერ უფრო მეტი თანხა. მის შესაგროვებლად ისინი ასტრონომიულ ფასად ყიდდნენ სხვადასხვა ქვეყანაში ტელევიზიით მატჩის ტრანსლაციის უფლებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ორთაბრძოლას უჩვენებდნენ სპეციალურ კინოთეატრებსა და დიდ საკონცერტო დარბაზებში.

თვითეულ მაყურებელს უნდა გადაეხადა 20-მდე დოლარი. ბოლოთი რინგის ახლოს თვით „მედიხონ სკვერ გარდენში“ ღირდა 150 დოლარი.

მეორე საკავშირო...

არაერთმა ახალგაზრდა ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ მიიღო მონაწილეობა თბილისის მეორე საკავშირო კონკურსში. ბევრმა მათგანმა ჩინებული მომზადება გამოამჟღავნა, მოდის ახალი საიმედო ცვლა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრს 13 წლის თბილისელ ნ. დრონოვას თავისუფალი გარჯიშის დროს. მან ამ სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა.

ფოტო მ. თათარიშვილისა.



მეგობრის უფლება ჩამოართვეს

საჩხერე. (საკ. კორ.). სხვადასხვა ტორელმა ინვალიდმა დ. ომიანიძემ საკუთარი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ სამართავად გადასცა თავის ხიძეს რ. ქურცაძეს, რომელიც მთვრალი იყო. მას არც მანქანის მართვის მოწმობა ჰქონდა. ავტომოჯირითის ასეთ საქციელს შეიძლებოდა მსხვერპლი მოჰყოლოდა, რომ საქმეში ავტოინსპექცია არ ჩარეულიყო. შ. ქერცაძე 50 მანეთით დაჯარიმეს.

„საქსოფლტექნიკის“ საჩხერის განყოფილების მძღოლმა ფ. მჭედლიშვილმა ექსკავატორი სოფელ ჭორვილაში წაიყვანა. მძღოლი დათვრა, მან ორიენტაცია დაკარგა და ღობეები დალეწა. ა. მჭედლიშვილს ერთი წლით ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება.

მძღოლი ფ. მარგველაშვილი ჭიათურის „დოსაიფის“ უნომრო ავტომანქანას მართავდა. მან უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები — საჩხერეში სტალინის ქუჩაზე მოტეხა ელექტროგანათების ბოძი და მიიმალა. საუბრადღებოა, რომ ეს მოხდა ღამის პირველ საათზე. მეორე დღეს ავტომოჯირითე ა. მარგველაშვილი ახალგაზრდებს მანქანის ტარების ასწავლიდა(!).

საჩხერის ხატყეო მეურნეობის მძღოლს ავტომანქანა გარაჟის მაგივრად რკინიგზის სადგურზე დაეყენებინა. თვითონ ნახვამდე აღმოჩნდა. მას ერთი წლით ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება.

ასეთი შემთხვევები ავტომოჯირითეებისათვის გაკვეთილი უნდა გახდეს.

სასქმართლო დარბაზიდან

□

მძღოლის უყურაღღებობით

ჟუთაისის სანიტარული დასუფთავების ავტომეურნეობის მძღოლმა იაკობ გიორგის-ძე გუბილიანმა ნაგვის საზიდი ავტომანქანა ჭაკვეთილის პროსპექტის № 38 სახლის ეზოში დაყენა, თვითონ კაბინიდან არ ჩამოვიდა და ხოლო მუშა ა. დარჩიანმა, რომელიც მანქანის ძარაზე იყო, ნაგვის მიღება განაგრძო. ამ დროს ეზოში მოთამაშე ბავშვების ჯგუფს გამოეყო 4 წლის ელისო გამყრელიძე, რომელსაც ხელში მაღლა აწეული მუყაოს ნაგლეჯი ეჭირა და მძღოლს გასძახოდა,, ბიძია, ეს დაგრჩათო.

მძღოლი ი. გუბილიანი, იმის მიუხედავად, რომ ეზოში მოზრდილ ადამიანებთან ერთად თამაშში გართული ბავშვებიც იყვნენ, ირგვლივ მყოფთა მიმართ სრულ უყურადღებობას იჩენდა, მან არც მანქანასთან ახლოს მისული პატარა ელისოს მიექცია ყურადღება. ეზეზად დაარღვია მოძრაობის წესები და გარემო პირობების შეუმოწმებლად ამოუშვა მანქანა, დაძვრისას დაეჯახა ბოგონას და ზედ გადაეარა ბავშვი იქვე გარდაიცვალა.

ასე იმსხვერპლა ნორჩი სიცოცხლე ადამიანმა, რომელიც ზედმიწევნილად ეკიდება საქმეს.

ქუთაისის სახალხო სასამართლომ, განიხილა ი. გუბილიანის საქმე და ბოროტმოქმედს რვა წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ მასვე სამი წლის ვადით ჩამოერთვა ტრანსპორტის მართვის უფლება.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ სპ. კორ.

ტაქსის მძარცველები მაცხოვნენ

ასევე მოხდა. ნახევარი საათის შემდეგ ამავე უბანში ამ ორმა უცნობმა ახალგაზრდამ ზუსტად იმავე ხერხითა და მეთოდით მსუბუქი ტაქსმოტორების № 1 კანტორის მძღოლი ვ. ჩოხელი გაძარცვა. იგი დოლიძის ქუჩის ბოლოსაკენ გაიტაცეს და 12 მანეთი წაართვეს, მერე კი საბურთალოს ქუჩაზე № 2656 ავტოკოლონის გარაჟის მახლობლად გადმოვიდნენ ტაქსიდან.

ვასო ჩოხელი საზრიანი და გამჭრიახი კაცი აღმოჩნდა. იგი ზ. ტეზელიშვილივით გულგრილად არ შეხვდა ამ ფაქტს (საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მას 12 მანეთი წაართვეს), მაშინვე ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა პირველ ქვეგანყოფილებაში გაეშურა და მორიგეს ყველაფერი აცნობა.

იმ დღეს განყოფილებაში ლეიტენანტი ანზორ ზურაბაული მორიგეობდა. მას წამიც არ დაყოვნებია და მილიციელ ვალენტინ ხალიმოვსკისთან ერთად იმავე ტაქსით შემთხვევის ადგილისაკენ გაეშურა.

ავტოკოლონის გარაჟს რომ მიუახლოვდნენ, შორიდან შენიშნეს: ორი ახალგაზრდა ტაქსში ჯდებოდა. — ნაღდად ისინი არიან, — იცნო ჩოხელმა და აღმა, დოლიძის ქუჩის ბოლოს იპოდრომისაკენ მიმავალ მანქანას დაედევნა.

მერე ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ანზორ ზურაბაული და ვალენტინ ხალიმოვსკი ისე სწრაფად და მოუულოდნელად დაეხსნენ თავს ბოროტმოქმედთ (სწორედ იმ მომენტში, როცა ისინი გაძარცვას უპირებდნენ შოფერს), რომ არამზადებმა ჯონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, არც კი განძრეულან, მაშინვე დანებდნენ და ტელევიზია — „ჭლობუსი“, 21.50 — მუსიკალური გადაცემა დიბი იშნილები, 22.35 — სატელევიზიო დადგმა „ჩემი საყვარელი მზრუნველი დედა“, „პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 23.15 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.30 — მხატვრული ფილმი — „ჯოონა უმისამართოდ“, 21.10 — დოკუმენტური ფილმი — „ბორის შჩუკინი“.

11 მარტი

11.05 — კინონარკვევი, 11.15 — ფესტივალი ევროპის თასის მფლობელთა თასზე. „გურნიკი“ პოლონეთი — „მანჩესტერ სიტი“ ინგლისი (მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი), 12.00 — სატელევიზიო ფილმი, 12.30 — მხატვრული ფილმი „ზურისგება“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — „საბჭოთა აზერბაიჯანის პოეზია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „მოწინავე წამოდიღლების სკოლა“, 19.15 — ლიტერატურული გადაცემა, 19.40 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა“ — 1955 წელი, 20.00 — „კონკურსში გამარჯვებულნი“ — ტრანსლაცია ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან. 22.00 — „კანონი და კანონიერება“, 22.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.30 — მხატვრული ფილმი — „უგრიუმ-მდინარე“ (I სერია) 21.00 — დოკუმენტური ფილმი.

თეატრები

10 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რუსლან და ლუდმილა (მე-16 აბონ. მე-2 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — დონ კარლოსი; **გრიბოედოვის სახელობის**— მოვალენი (მე-9 აბონ. მე-7 წარ.); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — კურკის ქორწილი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოქნაური ბიჭი (№ 24 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — ხუთკუნქალა (12 ს. მე-19 და 99-ე სკოლები), ეანგალა (2 ს. 123-ე სკოლა).

ოტოკროსი რუსთავში

კვირას რუსთავს მოტოსპორტის მრავალი მოყვარული ეწვია. აქ შედგა საერთაშორისო ასპარეზობა მოტოკროსში 250 და 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებთან. მონაწილეობდა 29 მოტორბრბოლი.

250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით კროსში ყველას აჯობა კიეველმა ი. კავინოვმა. მომდევნო ორი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს ა. კიბირნმა (კიევი) და სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. მოისეევმა (ლენინგრადი). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. კლდიაშვილი მეოთხე იყო.

შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა მოტოკროსი 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით. აქ წარმატებით გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელი მოტორბრბოლები, რომლებმაც პირველი და მესამე ადგილი დაიკავეს. უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი ა. კონეჩნი, რომელმაც ორი ცდის ჯამში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღო. მესამე ადგილი წილად ხვდა ი. სტოდიკას. საბჭოთა მოტორბრბოლი ვ. ოვჩინნიკოვი (პოლტავა) მეორე იყო.

სურათზე: მოტოკროსის სტარტი.

ფოტო ი. გელაშვილისა.

ალამი დაუშვეს

დამთავრდა მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი გრანდიოზული ასპარეზობა პროფკავშირთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადა. უკანასკნელ დღეს მოთხილამურე ვაჟებს პაექრობა ჰქონდათ 50 კილომეტრზე რბოლაში, აქ ჩემპიონობა მოიპოვა ი. გარანინმა.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ტალინში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გათამაშდა 12 ტური. ლიდერია ბ. კერესი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს.

ბელგში მიმდინარეობს სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება. ჩემპიონატის პირველი ნახევარი წარმატებით გაიარა ოსტატმა თ. ლომაიამ, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის და 4,5 ქულით ლიდერია.

დამთავრდა თბილისის პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონი გახდა მ. ლევინი, რომელმაც 15-დან 12 ქულა შეაგროვა.

რამდენიმე სტრიქონით

● **თბილისს** „დინამომ“ დაამთავრა შეკრება ლესელიძეში. საკონტროლო მატჩი დინამოელებმა „კირატის“ ფეხბურთელებთან მოიგეს 2:0.

● **გუშინ** თბილისში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. პირველი მატჩების შედეგები ასეთია: „კუნაცეიტი“ — ტრასპოლის გუნდი 18:6, „ალუმინსტროი“ — კრასნოდარის გუნდი 18:25.

ბ. ფეიდერ ბ. ბალანჩინის „ბალეტი ბეთოვენის მუსიკაზე“ ... ბ. ... ...